ხელშეკრულება №02/276

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა

28 ივნისი 2011 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ,

სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
(ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 42),
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: №204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900;

(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ, შპს „საინჟინრო-საძიებო სამსახური" (ქ თბილისი, ც. დადიანი ქ.#34, კორ:13, ბ.#35, ტელ: 911269);
დირექტორის იგორ მარჩენკოს სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: 200 169 290;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა: GE33BG0000000439320200
(შემდგომში „მიმწოდებელი").

შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ,,შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას განახორციელოს ქ. თბილისში სანდრო-ეული №3 მისამართზე მდებარე სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ტოპოგრაფიული რუქის შედგენა (CPV კოდი: 71351810 - ტოპოგრაფიული მომსახურებები)

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველთან" შეთანხმებულ ვადებში მაღალკვალიფიციურად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.
3.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაასრულოს და შესაბამისი დოკუმენტი გადასცეს შემსყიდველს არაუგვიანეს 2011 წლის 31 მაისისა.
3.3 "შემსყიდველი" ვალდებულია დროულად მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურება.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება
4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 944 (ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარს დღგ ჩათვლით.
4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადს, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.
5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლაშა კახაძე.

6. მომსახურების მიწოდების პირობები
6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ერთიანად, არაუგვიანეს 2011 წლის 10 ივლისისა.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1 მომსახურების მიღებას აწარმოებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოსუფროსი ლაშა კახაძე.

8. ანგარიშსწორება
8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;
8.2 დაფინანსების წყარო: 2011 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.
8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და ინვოისის საფუძველზე, წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ფასები
9.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
9.1.1 შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 944 (ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარს.
9.1.2 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 3%-ს.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

12.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

12.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

12.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას , თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,

მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „საინჟინრო-საძიებო სამსახური“
გიორგი ყიფშიძე	იგორ მარჩენკო

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 28 ივნისი

მიმწოდებელი: შპს „საინჟინრო-საძიებო სამსახური“

ხელშეკრულების № №02/276

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

გიორგი არსოშვილი

ამირან ჯეგისაშვილი

ლაშა კახაძე

ლევან მაღლაკელიძე

ეკა ალიმბარაშვილი